

პოტენციალის ფორმოზირივი მოდელირება ქართველურ ენებში

თამუნა სხულუხია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რუსუდან გერსამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა სხულუხია

09.07.2020

აბსტრაქტი

პოტენციალისის, როგორც ენობრივი კატეგორიის კვალიფიკაცია განსხვავებულია ქართველურ ენებში (კვლევის ამ ეტაპისათვის პოტენციალისი გაანალიზებულია ქართულსა და ზანური ჯგუფის ენებში, მეგრულსა და ლაზურში): ქართულისა და ლაზურისაგან განსხვავებით, რომლებშიც პოტენციალისი „ვნებითის ნიუნსად“ ითვლება და ამდენად სემანტიკურ კატეგორიას წარმოადგენს, მეგრულში დამოუკიდებელი გრამატიკული (resp. მორფოლოგიური) კატეგორიაა, რომელიც ვნებითის ფორმებისაგან საკუთარი მარკერებით განსხვავდება.

ვინაიდან ნაშრომი ეხება პოტენციალისის ფორმოზრივ მოდელირებას ქართველურ ენებში, ჩვენი ამოცანაა, ერთი მხრივ, დადგინდეს პოტენციალისის სემანტიკის გამომხატველი მორფოლოგიური მოდელები, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ზმნურ მორფოსტრუქტურაში შემავალი ყველა მიმდევრული მორფემის დადგენას (ანუ მორფემათა ბაზიდან რომელი მორფემების შერჩევა ხდება პოტენციალისის სემანტიკის გამოსახატავად) ანუ მორფემათა სინტაგმატურ ანალიზს, მეორე მხრივ, კი ამგვარი მოდელების ანალიზს პარადიგმატულად, ზმნის უღლების სისტემაში.

კვლევის მიზანია დაადგინოს ფორმოზრივი მოდელები, ამ მოდელებში შემავალი კონკრეტული რეპრეზენტანტები, რომლებიც აპირობებენ პოტენციალისის სემანტიკის გადმოცემას ქართულში, მეგრულსა და ლაზურში; გამოიკვეთოს, თუ რომელი საერთო და განმასხვავებელი მორფოლოგიური კატეგორიების გამომხატველი მორფემებია ჩართული პოტენციალისის მორფოლოგიურ მოდელირებაში, რა მსგავსება-განსხვავებებია მათ შორის. ასევე, დადგინდეს და გაანალიზდეს, სცდება თუ არა პოტენციალისის გამოხატვა ვნებითის ჩარჩოებს და რამდენად არის შესაძლებელი პოტენციალისის სემანტიკა გადმოიცეს გვარის სხვა ფორმათა საშუალებითაც.

ენობრივი ანალიზისას ძირითადად გამოყენებულია დესკრიფციის მეთოდი, ამიტომ კვლევა სინქრონიულ ხასიათს ატარებს, კვლევის შედეგები ქმნის მყარ ბაზას, საფუძველს შემდგომი დიაქრონიული კვლევისათვის. ზმნების ფორმოზი ანალიზი სამივე ენისათვის დაეყრდნო ინტერლინგუალური მორფემული გლოსირების მეთოდს, რამაც მეტად თვალსაჩინო გახადა ზმნის მორფემული შედგენილობა და გააადვილა მოდელების დადგენა; ქართულში პოტენციალისის ანალიზი დაეყრნო ქართული ენის ეროვნული კორპუსისა (GNC) და ქართული ენის კორპუსის (GLC) მონაცემებს, ამდენად, შემოთავაზებული კვლევა არის კორპუსზე დაფუძნებული კვლევა; მეგრულისა და ლაზურისათვის კი გამოვიყენეთ ბეჭდურად გამოცემული ტექსტები, ელექტრონული ვარიანტები. კვლევამ აჩვენა, რომ მეგრულში პოტენციალისის გრამატიკული კატეგორიის შესახებ სამეცნიეროლი ტერატურაში არსებული დებულებები საჭიროებდა გადამოწმებას, დაზუსტებას ან შევსებას მაგალითებით, რა მიზნითაც გამოვიყენეთ სავალე კვლევითი მეთოდები; ამიტომ ნაშრომში ასევე გამოყენებულია ჩვენ მიერ სამეგრელოში სავალე პირობებში ჩაწერილიმ ასალა.

საკვანძო სიტყვები: ქართველური ენები, სემანტიკა, მორფოლოგია, პოტენციალისი, ვნებითი გვარი.

Abstract

Classification of potential as linguistic category is different among Kartvelian languages (at this stage of the research potential is analyzed between Georgian and Zan languages, Mingrelian and Laz): conversely, in Georgian and Laz languages, Potential is considered as a “nuance of passive”

and therefore presents semantic category, in Mingrelian it is grammatical (resp. morphological) category, which differentiates from passive forms with its own markers.

Because the research is about forming potential in Kartvelian languages, our research problem is to establish expressing morphological models of semantic potential, this means defining every consequential morpheme in verbal morphostructure (which morpheme is chosen from the morpheme database to convey semantic potential), which means morpheme syntagmatic analysis of morpheme, as well as paradigmatic analysis of these models in verb conjugation system.

The purpose of the research is to define formal models, particular representatives of these models, which requires potential semantic to be verbalized in Georgian, Mengrelian and Laz languages; disclose what common and distinctive morphological categories of morphemes are integrated in modeling morphology of the potential, what are the similarities and differences among them, as well as establish and analyse if expressing potential is out of the passive framework and if it is possible to convey potential with different forms of voice.

Mostly descriptive method is used for linguistic analysis. Therefore, the research is synchronous. The results of the research create solid base for the next diachronic research. Formal analysis of verbs for all three languages is based on interlinear morphemic glossing, which made verb morpheme composite prominent and simplified the process of defining the models; Analysis of potential in Georgian is based on the data of The *Georgian National Corpus Project* (GNC) and The *Georgian Language Corpus* (GLC), therefore, the research is based on the corpus; digital versions of paper texts are used for Mingrelian and Laz languages. The research showed that in Mingrelian language, theses in scientific literature about potential grammatical category needs to be checked, specified or filled with examples, for which field research methods are used, therefore in the study there is also used a material recorded in field conditions in Samegrelo by us.

Key Words: Kartvelian languages, semantic, morphology, potential, passive voice